ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2486 სამშაბათი, 4 მაისი 1896—190 ყოველ-დღიური გაზეთი № 2486

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში [illegible]ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერ[illegible] წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირ[illegible]პირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ[illegible]თამდე. ფოსტის ადრესი: Ти[illegible]съ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„М[illegible]амбе“. ტელეფონი № 372.

კისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს გამოგზავნოს უშველად ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** 1 მაისიდან წლის დამლევამდე სურათებიანის დამატებით ღირს 4 მან. 50 კ.

ფოთის საქალებო სამ-კლასიან პროგიმნაზიაში

მისაღები გამოცდა დანიშნულია მაისის 19—25 რიცხვებში. თხოვნასთან უნდა იქნეს მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა. (ნ. 10—4)

ს. მ. ველლერი

გოლოვინის პრ. № 43, ცირკის პირდაპირ.

1-ლ მაისიდან ავადმყოფთა მიღების დრო იცვლება:

მიიღებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე და 4-დან საღამოს 7-მდე. **კბილის წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნურ კბილების ჩაყენება.** ყოველ ავადმყოფს განსაკუთრებული დრო დაენიშნება. (3—185—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. განსვეტოვ—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ შაბათს, 15 მაისს საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათ.-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1903 წ. მოქმედებისა,

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგარიშის შესახებ,

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისთვის,

4) შემოწირულება,

5) სხვა და სხვა მოხსენება,

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატებისა,

7) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—1)

ოთხშაბათს, 5 მაისს, სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში მოხდება მორიგი კრება რუსეთის საიმპერატორო **საგეოგრაფო საზოგადოების** კავკასიის განყოფილებისა შემდეგის პროგრამით:

1) კ. თ. განის მოხსენება დიდ ლიახვისა და ქსანკის სათაურებში მოგზაურობის შესახებ,

2) კ. ი. პოდოზერსკის მოხსენება „ზერნთაფრაპ გუბერნიაში (ტუაფსესა და სოჩას ოლქში)“. კრება საჯაროა. შესვლა უსასყიდლოა. (უ. 2—1)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—3)

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—2538—2)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—80)

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—9

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მაისი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუდანტის ალექსეევისა, 1 მაისს გამოგზავნილი: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას კონტრ-ადმირალის ვიტგეფტისაგან მიღებულს ცნობებს პორტ-არტურში საქმის მდგომარეობის შესახებ 23 აპრილიდან 29-მდე. ეს ცნობები მოგვაწოდეს შიკრიკის ხელით სადგურ დაშიჩაოდან, პორტ-არტურთან მიმოსვლის შეწყვეტამდე ერთის დღით ადრე. 22 აპრილს პორტ-არტურს მოუახლოვდა მტრის ესკადრა, ჯავშნიან გემებისა, კრეისერებისა და ნაღმიან გემებისაგან შემდგარი. ესკადრამ ალყა შემოარტყა პორტ-არტურს, მაგრამ აქტიურ მოქმედებას არ იწყებს. ჯავშნიან გემების „ცესარევიჩ“-ისა და „რეტვიზან“-ის შესაკეთებლად მუშაობა წინანდებურად მარჯვედ სწარმოებს. რეიდისა და ნავთსადგურის გასავლების დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ იაპონელთ ნაღმი ჩაეშვათ იმ ალაგას, სადაც „პობედა“ დაზიანდა. ამოღების დროს ნაღმი აფეთქდა.“

გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 1 მაისს გამოგზავნილი: „ფინხუანჩენიდან ლიაოიანისაკე[illegible] მიმავალ იაპონელთა ჯარის მოწინავ[illegible] რაზმებმა 29 აპრილს ტუინპუმდე მიაღწ[illegible] ფინხუანჩენიდან 40 ვერსის სიშორეზე. [illegible]ზახთა ორმა სოტნამ სოფელ კანცაუდიაძესაკე[illegible]ა-იწია, ტუინპუდან ჩრდილოეთით სამის ვე[illegible]სის მანძილზე. იაპონელთა რაზმი, სამ ბატალიონისა, 10 სამთო ზარბაზნისა და ორ ცხენოსან ესკადრონისაგან შემდგარი, რომელიც სელიუჩანიდან მიდიოდა მოდულინის უღელტეხილისაკენ, 23 აპრილს უკვე ტაფანგოუს ხეობაში იყო, ლიაოიანისაკენ მიმავალ გზის დასავლეთით 12 ვერსის მანძილზე. ამის შემდეგ ამ რაზმის მოძრაობის შესახებ ცნობა აღარ მიგვიღია, რაც, ალბად, იმის ნიშანია, რომ იაპონელებმა ხაიჩენისაკენ გადაუხვიეს. 30 აპრილს იაპონელთა მოწინავე რაზმი ტუინპუდან სამხრეთით წავიდა. ყაზახები უკან დაედევნენ. ყაზახთა მოწინავე სოტნამ, რომელსაც იაპონელთა არიერგარდმა სროლა აუტეხა, დროზე აღმოაჩინა ჩასაფრებული მტერი და უკან დაიწია. შემდეგ ყაზახთა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ ლინდიაპუზესა და ერტაუფანუს, ტუინფუს სამხრეთით 3 ვერსის მანძილზე, მიუახლოვდა იაპონელთა ჯარი, ორ ქვეითა პოლკისა, 8 ზარბაზნისა და სამ ესკადრონისაგან შემდგარი.—ლანშანგუანისა და საიმაძის შუა ყაზახებს შეტაკება მოუხდათ ხუნხუზებთან, რომელთაც სამი ყაზახი და სამი ცხენი მოგვიკლეს, ერთი—დაგვიჭრეს, ხოლო 4 ყაზახი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამ რაიონიდან ხუნხუზთა განსაფანტავად სასტიკი ღონისძიებანია მიღებული.—იაპონელთა მზვერავი რაზმები ჩნდებოდნენ 26 ვერსის სიშორეზე მოდულინის უღელტეხილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. სიუიანიდან მოდულინის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე სიწყნარეა. სოტნიკ ტონკიხის მზვერავმა რაზმმა, რომელიც ჩინტაიძიში იყო გაგზავნილი, მტრის დიდი ჯარი ვერ აღმოაჩინა.—ჩინეთიდან მოსულ ცნობებით, დაგუშანი და ჩინტაიძი პატარა რაზმებმა დაიჭირეს; თვითეული მათგანი 500 კაცისაგან შესდგება.—დიდი ჯარია თავმოყრილი სიტუხჩიძეში, დაგუშანიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით, 16 ვერსის სიშორეზე. მზვერავთა რაზმს, სიუანიდან რომ ბრუნდებოდა, შეტაკება ჰქონდა იაპონელთა პატრა მზვერავთა რაზმთან. მსუბუქად დაიჭრა ერთი ყაზახი და მოკლულ იქმნა ერთი იაპონელი დრაგუნი. სილიჯაიპუზას მხრიდან ახალი ცნობები არ მოსულა. 30 აპრილს ათას კაცისაგან შემდგარმა იაპონელთა ჯარმა გაიარა ცხრა ვერსამდე სადგურ პულანდიანიდან ჩრდილოეთით. მეორე რაზმმა, 300 ქვეითა ჯარის კაცისა და ნახევარ ესკადრონისაგან შემდგარმა, შემოუარა სადგურ ვაფანდიანს. საზღვრის დარაჯთა რაზმები ნელნელა მიდიან ჩრდილოეთისკენ და აბრკოლებენ მტერს. 30 აპრილს სამას კაცისაგან შემდგარი ხუნხუზთა ბრბო თავს დაესხა იანტაის მაღნებს. საზღვრის დარაჯთა მე-22 სოტნამ და ქვეითა ჯარის ერთმა როტამ უკუაქცია ისინი. ხუნხუზებმა დაჰკარგეს 30 კაცი და წავიდნენ ლიაოიანისაკენ. მათ წინააღმდეგ გაგზავნილ იქმნა 1 მაისს განთიადისას ვოლონტერთა რაზმები. ცნობებია მიღებული, რომ ხუნხუზების დიდი ბრბო გამოჩენილა ლიაოიანიდან დასავლეთით 16 ვერსის მანძილზე.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: გენ. კუროკის პირველ არმიაში 60 ათასი კაცი ჰყავს, ამას გარდა მე-2 არმიის ორი დივიზიაც თან მოჰყავს, ასე რომ კუროკის სულ 100 ათასი კაცი ჰყავს. მე-2 არმიის მეექვსე დივიზია-კი, გენ. კუმამატოს უფროსობით, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე დარჩება და პორტ-არტურს ალყას შემოარტყამს („რ. ვ.“).

„ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონიის მე-2 არმია გენერალ ოკუს უფროსობით ბიძივოსთან გადავიდა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე. ეს არმია 3 დივიზიისაგან შესდგება: პირველისა, მეოთხისა და მეექვსისაგან. გენ. ოკუს სულ 63 ათასი ჯარისკაცი ჰყავს და 126 ზარბაზანი აქვს. „დეილი [illegible]“-ი იუწყება, მეექვსე დივიზია 1894 წ. აღება[illegible]წილეობას იღებდა პორტ-არტურის ბევრს მ[illegible]მიტომ ამ დივიზიის აფიცრებში არტურის მ[illegible]რად აქვს შესწავლილი პორტ-[illegible]ობა. („რ. ლ.“)

იაპონელებს [illegible] პორტ-არტურისათვ[illegible] ზარბაზნები მიაქვთ [illegible] დაუშენენ და მერე იე[illegible]ჯერ ამ ზარბაზნებს [illegible] მიიტანენ პორტ-არტურზე. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ი იუწ[illegible]ბმა დალნის ახლო, ჩრდილოეთ[illegible] იაპონელეტიოს ყურეშიაც გადაიყვანეს ჯა[illegible]შიუ-

„დეილი ქრონიკლ“-ი იუწყება: [illegible]ში ჰფიქრობენ, ტელეგრაფის კაბელი პორტ-არტურსა და ჩიფუს შუა ეხლა გადაჭრილ[illegible] იქნებაო. („ზ. ვ.“).

შანჰაიგუანიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი ქრონიკლ“-ს: იაპონელებმა მეტად უცებ, მოულოდნელად გადაიყვანეს ჯარი ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე. არავინ არ იცოდა და არ მოელოდა, რომ იაპონელები ბიძივოში გადაიყვანდნენ ჯარსა, თორემ რუსებს რომ წინადვე სცოდნოდათ და ბიძივოში გინდ პატარა რაზმიც გაეგზავნათ, დიდ ზარალს მისცემდნენ იაპონელებს, რადგან ამათი ჯარი 400 მეტრის მანძილზე ზღვაში მოდიოდა და ყელამდე წყალი სწვდებოდა. იაპონელები უსათუოდ ალყას შემოარტყამენ პორტ-არტურს, საალყე ზარბაზნებს მოიტანენ, ყუმბარას დაუშენენ და მერე იერიშს მიიტანენო. („მ. ვ.“).

ინგლისელი კორესპონდენტები თითქმის ერთხმად ამბობენ, რუსებმა მეტად სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებს ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე ჯარის გადმოსხმის დროსაო. („რ. ლ.“).

ჩიფუდან იუწყებიან, იაპონელებმა ორს რკინის გზის მატარებელს, ნიუ-ჩუანიდან გამოსულს, სროლა დაუწყეს და ისევ უკან დააბრუნესო. („მ. ვ.“).

ბერლინში ჰფიქრობენ, ლიაონთან მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი რევენტლოვი სწერს: იაპონიის მესამე არმია, ალბად, ნიუ-ჩუანში გადავა. გენ. კუროკი კარგს იზამს, მესამე არმიას მოუცადოს და მერე ამ არმიასთან ერთად ლიაოიანისაკენ გაილაშქროსო. („რ. ვ.“).

ბერლინის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იაპონიის ჯარი ამას იქით ისე სწრაფად ველარ ივლის, როგორც აქამდე მოდიოდაო. ეხლა ლიაოიანის გზასა, თუ ხაიჩენის გზაზე მეტად დიდი მთები აქვს გადასავლელი. იაპონელები, ალბად, მოტენლინგისა და სინკაის უღელ-ტეხილებს გვერდიდან მოუვლიანო. („რ. ვ.“).

სეულიდან დეპეშით იუწყებიან: იაპონელი მზვერავები სხვა-და-სხვა ბილიკებითა და გზებით მოტენლინგის მთას გადავიდნენ და ლიაოიანს ახლო გაჩნდნენ. ეს მზვერავები რუსის-ჯარის პოზიციებს დაათვალიერებენ, გაიგებენ რამდენი ჯარი ჰყავთ რუსებს და ყველაფერს გენ. კუროკის შეატყობინებენო. („მ. ვ.“).

იალუზე ბრძოლის დროს იაპონელები არისაკის მსწრაფლ-მსროლელ 7,5 სანტიმეტრიან ზარბაზნებსა ხმარობდნენ. ეს ზარბაზნები განსაკუთრებით იაპონელ აფიცრებსა და მექანიკებს დაუმზადებიათ თითონ იაპონიაში, ოსაკის არსენალში. რკინა ამ ზარბაზნებისათვის გერმანიიდანა, საფრანგეთიდანა და ინგლისიდან მოუტანიათ. უბოლო წამალსა[illegible] იაპონელ[illegible] ბენ ი[illegible] აპრილს [illegible] ივასაში ქა[illegible]

ლუზე ბრძოლის დროს იაპონელებს 18 ბატარეაში 108 ზარბაზანი ჰქონდათ არისაკის სისტემისა. („რ. ლ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ი იუწყება, იაპონელებმა ლივერპულში (ინგლისში) ჯარისა და სურსათის საზიდად ორი დიდი გემი იყიდეს: „აფრიდა“ და „სტრატეგი“. პირველი გემი—3,648 ტონას იტევს, მეორეს—5,023 ტონა წყალ-წყვა აქვს. („რ. ლ.“)

ბრძოლა მდ. იალუზე. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი მუკდენზე ასე ასწერს მდ. იალუზე მომხდარ ბრძოლას: „იაპონელები კულენჩენის წინ 5 მილის მანძილზე ისე გამოწკრივდნენ, თითქო ბრძოლისათვის-კი არა, პარადისათვის ემზადებოდნენო; ყველაზე წინ მსროლელთა დაუსრულებელი მწკრივი იდგა, მერე—რეზერვები (მარქაფა ჯარი), უკან 20 გაუბიცა (ზარბაზნები) და ველის არტილერია იდგა. რუსის ჯარსა და იაპონიის ჯარს ხეობა ჰყოფდა; ხეობის თავსა და ბო[illegible] [illegible]ვილი პატარა წყლები ჩამოდის. გარშემ[illegible] მხოთითქმის მთლად მოტიტვლებ[illegible]ზე, ან პალოდ აქა-იქა თითო ორ-[illegible]ვენიერი დილიტარა სახლი დგას სადმე[illegible]ლა. რუსები ჯერ იყო, მზე წითლად ამ[illegible]ახევარ საათზე იაპოჩუმად იყვნენ. შე[illegible]ვიდნენ და საშინელი ნელები იერიში[illegible]რუსებმაც უპასუხეს. იაპოსროლა ასტყდა მირბის რუსის პოზიციენელი ჯ[illegible]სის ტყვია და ყუმბარა წვიმასაპისაკლის. ჩვენ ყველანი გაღმიდან სულ ვიყუნი ვუცქერით,—მალე ბევრი მამა[illegible] გამოესალმება წუთი-სოფელს... იაპონელებმა რუსის პოზიციებს მიატანეს. რუსებიც საშინელის თოფის სროლით მიესალმნენ. ერთს წამს ისე გვეჩვენა, თითქო იაპონელები შეფიქრდნენ, პირველი მწკრივი თითქო შედგა, მაგრამ მალე მთელი მწკრივი ისევ წინ გაქანდა, წყალში გავიდა და ცოტა ხანს მთის ძირას მოეფარა. მთელი ეს ხანი იაპონელების არტილერიას ერთს წამს არ შეუწყვეტია სროლა. იაპონელების გავლილი გზა საშინელი სანახავია: მოკლულთა გვამებითაა მოფენილი. იაპონელები მაინც დაუდგრომლად წინ მიდიან. მე-2 დივიზია ფრონტიდან (პირდაპირ, წინიდან) მიდის, მე-12 დივიზია ფრთიდან უვლის რუსის ჯარს. რუსებიც სროლაზე ხელს არ იღებენ და დიდზარალს აძლევენ იაპონელებს. ტყვიისა და ყუმბარისაგან გაგმირული იაპონელები ამხანაგებს მაშინვე მიჰყავთ ბრძოლის ველიდან. რამდენიც იაპონელები რუსის პოზიციებს უახლოვდებიან, იმდენი იაპონიის არტილერია უფრო სასტიკად ისვრის. ასეთმა ბრძოლამ სრული ორი საათი გასტანა. ბოლოს ერთი იაპონელი ჯარის კაცი მაღლა გორაზე ავარდა და იაპონიის დიდი ბაირაღი გაშალა... რუსის პოზიცია იაპონელებს დარჩათ. მთელი ჯარი აღელდა და ახმაურდა. გაღმა-გამოღმა გაისმა აღტაცებული „ბანზაი!..“ მარტო მოკლულები არ იღებდნენ ხმას...“

ფრანგ-პოლიტიკოსის აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ცნობილი განოტო სწერს გაზ. „პატრი“-ში: „ჩემის აზრით, უმთავრესი ბრძოლა მუკდენს ახლო მოხდება. ეხლა იაპონელები ყოველ-ნაირად ცდილობენ, რომ რუსებს ჯარი გააფანტვინონ სხვა-და-სხვა ადგილას, რუსის ჯარმა ყველგან პასუხი უნდა გასცეს იაპონელებს. გენ. კუროპატკინმა ყველა მხარესა და ადგილს ბეჯითად უნდა ადევნოს თვალ-ყური, მაგრამ ისკი არ უნდა დაივიწყოს, რომ უმთავრესი თავისი ძალა და ღონე მუკდენის დასაცველად უნდა შეინახოს. მანჯურიის დედა-ქალაქს მუკდენს დიდი სტრატეგიული და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. გენ. კუროპატკინმა არაფრის გულისათვის არ უნდა დაანებოს იაპონელებს მუკდენი, თუ უნდა, რომ რუსეთს სახელი არ გაუტყდეს ჩინეთში (მუკდენი წმინდა ქალაქად მიაჩნიათ ჩინელებს, რადგან ჩინეთის იმპერატორები ამ ქალაქში იმარხებიან). თუ მუკდენი რუსების ხელში დარჩება, მაშინ, არა მგონია, ჩინეთი ომში გაერიოს; თუ იაპონელები აიღებენ, მაშინკი, ჩემის აზრით, ჩინეთიც სხვანაირად მოიქცევა. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ჩინელებს ევროპიელები ეჯავრებათ და ევროპიელების სახელი აღმოსავლეთ-აზიაში ძლიერ დაეცა. მთელი აზია კეთილის თვალითა, [illegible]თა და [illegible]ებით შეჰყურებს აღ[illegible] „[illegible]ამოსავალ მზეს“... თუ როგორმე მოხდა და ჩინეთი საქმეში გაერია, რუსეთი მაშინვე ომს გამოუცხადებს და ამით საქმე უფრო გაჭირდება. მაშინ ომი მანჯურიისა და კორეის გარდა, მთელ რუსეთ-ჩინეთის საზღვარს მოედება და ვინ [illegible] საქმე რით გათავდება“... („პ. ვ.“).

ბევრნი, მეტადრე ამერიკელი [illegible]ლიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, [illegible]ომ ჩინეთი ბოლომდე ნეიტრალიტეტს [illegible]აიცავს და ომში არ გაერევაო. („რ. [illegible]“).

იაპონია და მაკ[illegible]ნია. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, [illegible] იაპონელებმა მაკედონიის სარევოლიუცი[illegible] კომიტეტთან მოლაპარაკება გამართ[illegible] და დაჰპირდნენ, თუ მაკედონიაში [illegible]ოველთაო აჯანყებას მოახდენთ, 4 მი[illegible]ნ მანეთს მოგცემთო. ინგლისური „სტანდარდ-ი“ სწერს: იქნება, ეს ამ[illegible]ვი მართალიც იყვეს. 4 მილიონი რომ აიღოს, სარევოლიუციო კომიტეტი ადვილად აჯანყებს მაკედონიას და მაშინ რუსეთი ისეთ დიდ ყურადღებას ველარ მიაქცევს აღმოსავლეთ აზიას. ამბობენ, რევოლიუციონერებმა უარ-ჰყვეს იაპონელების წინადადებაო, მაგრამ ჩვენის აზრით, უფრო ჭკუას ახლო იქნება, ვიფიქროთ, რომ თითონ ტოკიოს მთავრობა არ ენდობოდა რევოლიუციონერების ცარიელ სიტყვას და რაიმე მტკიცე გარანტიას მოითხოვდა. ასეა თუ ისე, რუსეთმა ამას იქით მაინც ბეჯითად უნდა ადევნოს თვალი ბალკანეთის საქმეს, რადგან ამ საქმეს მეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ვიდრე შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს. იქნება მალე რუსეთს ამ საქმეში გარევაც დასჭირდეს. საამისოდ მიზეზი არ გამოილევა,—ან მაკედონია აჯანყდება, ან ბოლგარიაში მოხდება რევოლიუცია, ან ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები გადაიცვლება, ან ოსმალეთის ხონთქარი აბდულ-ჰამიდი:—იმპერატორიცა და ხონთქარიცა,-ორივე მოხუცებაში არიან. („ბ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ კვირას, 2 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი მწერლის **ეგნატე ნინოშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ კვირას, 2 მაისს, ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომში კნეინა ო. თ. ჭავჭავაძის თაოსნობით გაიმართა ბაზრობა და სეირნობა **„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** სასარგებლოდ. გამგეთ შრომა და მეცადინეობა არ დაეზოგათ, რომ ბაზარი კარგი გამოსულიყო. მართლაც, ბაღი მშვენივრად იყო მორთული. გაემართათ ფარდულები, სადაც სხვა-და-სხვა საქონელს ჰყიდდნენ, მოეწყოთ გასართობები ბავშვებისათვის, მღეროდა ქულაჯებში გამოწყობილი ხორო ბ-ნ მ. კავსაძის ლოტბარობით, გაემართათ მშვენიერი ბუფეტი და სხვა. ნივთები, ამასთან კარგი და კოხტა, ძალიან ბევრი შეეძინათ წელს. ხალხი, უმეტესად ახალგაზრდობა, დილიდანვე მიეტანა ბაღს. ეტყობოდა, რომ საღამოზე დიდ-ძალი საზოგადოება უნდა შეკრებილიყო. სამწუხაროდ, საღამოს მეშვიდე საათზე დაიწყო წვიმა და აღარ შეწყვეტილა 9 საათამდე. წვიმამ ძალიან შეუშალა ხელი ბაზრს და შემოსავალი განახევრდა. სულ შემოვიდა 1300 მანეთი ხარჯს გარედ საზოგადოებას დარჩება 500 მანეთამდე.

◆ გუშინ, 3 მაისს, უკვე დასრულდა საქართველოს საექზარხოსოს სამრევლო-საეკლესიო სკოლების საეპარქიო ზედამხედველების კრება, რომელიც გორის ეპისკოპოსის ბენიამინეს თავმჯდომარეობით მიხდა. სხვათა შორის, კრებამ გადაათვალიერა რუსულ ენის სახელმძღვანელოები და დაადგინა, სამრევლო სკოლებში სასწავლებლად შემოიღოს კორხანიძის „ჟივოე სლოვო“. აქამდე სკოლებში ხმარობდნენ ბ-ნ ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ყარაიაზის სახელმწიფო მამულიდან გამოზომა 1421 დესეტინა და 750 ოთხ.-კ. საჟენი **რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებისთვის.** ყარაიაზის სახელმწიფო მამულების გამგებ კუპჩენკომ უკვე გადასცა ეს ადგილები ტფილისის სამაზრო ადმინისტრაციას.

◆ **როგორც პეტერბურგიდან გვწერენ,** ალექსანდრე მესამის მუზეუმის საეტნოგრაფიო განყოფილების აღმოსავლეთის ნაწილის გ-გე ქ. ინოსტრანცევი და პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი აპრილის შუა რიცხვებში ყორინოღაელების მინდვრეებისა (სტავროპოლის გუბერნია) და დაღესტნისაკენ წავიდნენ მუზეუმისთვის მასალის შესაკრებად. დაბრუნდებიან პეტერბურგს ივნისის შუა რიცხვებში. მუზეუმი ამიერ-კავკასიაშიაც აპირებს მასალის შეკრებას.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** ხვალ, 5 მაისს, მიემგზავრება ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში. 10 და 11 მაისს ექსარხოსი იოვანე ნათლის მცემლისა და დავით-გარეჯის უდაბნოში გაემგზავრება და 13 მაისს ტფილისს დაბრუნდება.

◆ კანონთა კრებულში გამოქვეყნებულია ბრძანება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე **ჟანდარმთა საპოლიციო** გამგეობის შტატის გადიდების შესახებ.

◆ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია **სია თავად-აზნაურთა იმ შვილებისა,** რომელნიც კავკასიის მთავარ-მართებელმა აარჩია სახელმწიფო ხარჯით სხვა და სხვა კადეტთა კორპუსში მისაღებად. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან მიიღებენ:

კავკავის კადეტთა კორპუსის მოსამზადებელ კლასში: ალექსანდრე ბახუტაშვილს, თავ. ივ. ბარათაშვილს, გიორგი კობიაშვილს, შალვა გედევანიშვილს და დიმიტრი ხმალაძეს. კანდიდატებად (თუ პირველნი ეგზამენს ვერ დაიჭერენ) ითვლებიან გიორგი თუხარელი და შალვა კარგარეთელი; ორლოვო-ბახტინის კორპუსში: თავ. სიმონ ვაჩნაძეს, მნაცაკან არეშევს, არჩილ საგინაშვილს, იოსებ კობახიძეს; სუმის კადეტთა კორპუსში: თავ ბიძინა ვახვახიშვილს, თავ. დიმიტრი ფავლენიშვილს, გრიგოლ ტატიშვილს და თავ. მიხეილ სიდამონიშვილს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან: მიხაილოვ-ვორონცეის კორპუსში: დავით ყღენტს, ვარდატ გურგენიძეს, ივანე წულუკიძეს, ელიაზარ კიკნაძეს, ევგენი ჰილაძეს, ილია მახარაძეს, ვლადიმერ არდიშვილს, ივანე ანჯაფარიძეს, კონსტანტინე მხეიძეს და მიხეილ ღოღობერიძეს; ოდესის კორპუსში: გრიგოლ კუხალაშვილს, თავ. იოსებ წერეთელს, ვლადიმერ ლოლაძეს, თავ. გიორგი (იგივე მელქისედეკ) ანჩაბაძეს, ვალერიან ლოლაძეს, თავ. ილია წერეთელს, ალექსანდრე გაგუას (თუ დაიჭერს ეგზამენს მეორე კლასში) და ნიკოლოზ ქორქაშვილს.

ამასთან მთავარ-მართებლის კანცელარია აცხადებს, რომ შესასვლელი ეგზამენები კავკავის კადეტთა კორპუსში მოხდება 19 და 20 მაისს, ხოლო დანარჩენ კორპუსებში 22 მაისს. ზემოდ ჩამოთვლილ ყმაწვილებს შეუძლიანთ ეგზამენი დაიჭირონ ტფილისისა ან კავკავის კადეტთა კორპუსებთან. აწ მოქმედ წესის ძალით 9—10 წლისებმა ეგზამენი უნდა დაიჭირონ მოსამზადებელ კლასში, 10—12 წ.—პირველში, 11—13 წ.—მეორეში, 12—14 წ.—მესამეში, 13—15 წ.—მეოთხეში და სხვ. წლოვანება ნაანგარიშევია 10 აგვისტოსთვის. კანცელარია უმატებს, რომ მოსამზადებელ კლასში შემსვლელმა უნდა იცოდეს რიგიანად რუსულად კითხვა და წიგნიდან გადაწერა, აგრეთვე უმთავრესი ლოცვები. არ მიიღებენ იმას, ვისაც რუსულად კარგად ლაპარაკი არ ეცოდინება და ვინც ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს.

◆ ტფილისში მოხდება რუსეთის რკინის გზათა **ექიმების კრება.** ექიმებმა უნდა გაიცნონ სამთო სანატორიის ვითარებანი და დაათვალიერონ კურორტები.

◆ როგორც გორის მაზრიდან გვატყობინებენ, 27-28 აპრილს დიდის წვიმების გამო მოდიდებულმა მდ. მეჯუდამ **წალეკა ნათესობა** ხელთუბნისა, თართიზასი და რეხისა. გლეხები სცდილობენ მდინარეს კალაპოტი შეუცვალონ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რადგან არც ტეხნიკოსები ჰყავთ და არც საჭირო იარაღი აქვთ.

◆ გუშინ, 3 მაისს, ქალაქ გორში დაიწყო სხდომები ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესიისა.** სხდომები გასტანს 15 მაისამდე.

◆ ხვალ, 5 მაისს, დიდუბეში დაიწყება **ცხენის იარმუკობა.**

◆ დღეს, 4 მაისს, ბათუმში მიემგზავრება ტფილისის **სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს საქმეს დათეშიძისა, ბრეგვაძისა და სხვათა, რომელთაც განზრახ სახლის დაწვა ჰბრალდებათ.

◆ ამ დღეებში ტფილისის **ხელოსანთა უსტაბაშების** კრებამ განიხილა მამასახლისის რაფაელოვის წინადადება სამარხ კასის დაარსების შესახებ. [illegible] კასის ფონდში შეტანილ უნდა [illegible] საზოგადოების თავისუფალი თანხა 990 მან. 50 კაპ. ამას გარდა ის შემოსავალი, რომელსაც ამქარი ცხედრის დაკრძალვის დროს იღებს, ასე უნდა განაწილდეს: 30% სამარხ კასას გადაეცეს, 20% სახელოსნო გამგეობის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის, 50% ხელოსანთა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად. კრებამ მიიღო რაფაელოვის წინადადება. კრებამ წესდების შესადგენად აარჩია ბ.ბნი მხეიძე, როლოვი, მიკირტუმოვი, ერმიშევი, ავაქიანცი და ქარუმოვი.

◆ გასულ სამოსწავლო წელს საქართველოს საექსარხოსოში ყოფილა სულ 308 სამრევლო-საეკკლესიო სკოლა (129 სკოლით მეტი, ვიდრე წინა წელს). ამ რიცხვიდან მეორე ხარისხისა (სადაც მასწავლებლებს ამზადებენ) ყოფილა ორ-კლასიანი 26, ერთ—კლასიანი 197, წერა-კითხვისა 78, და საკვირაო 4. ამ სკოლებიდან 194 სკოლა საქალ-ვაჟო ყოფილა, სავაჟებო 24, საქალებო 31. მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლებში ასეა განაწილებული; ვაჟები 7933, ქალები 4332, სულ 12,273. მართმადიდებელი ყოფილა 10,122, სომეხი—561, სექტანტი 377, თათარი 80, ფრანგი 27, ებრაელი—28. ამ სკოლების რიცხვიდან ტფილისში არსებობს 38, ტფილისის მაზრაში 19, ბორჩალოსაში—12, ახალციხისაში—10, ახალქალაქისაში—3, დუშეთისაში—6, გორისაში—31, სიღნაღისაში—20, ზაქათალის ოლქში—4, თელავის მაზრაში—16, თიანეთისაში—9. ბაქოს გუბერნიაში—15 სკოლაა, განჯისაში—8, ერევნისაში—10, ყარსის ოლქში—29, ყაგიზმანისაში—13, არდაგანისაში—3, ოლთისაში—2.

◆ შორაპნიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში, ღამე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუტეხიათ სოფ. კორბოულის წმ. გიორგის ეკლესია, გაუტანიათ ბარძიმ-ფეშხუმი, ფულად 12 მან. და სხვა ძვირფასი საეკკლესიო ნივთები. საზოგადოდ როგორც აღნიშნულია, ისე ამ კუთხის სხვა სოფლებში ბოლო ხანებში მეტად გავრცელებულ წვრილმანი ქურდობა და ზოგგან თავ დაცემა და გაცარცვა. მაგალითად, სოფელ ივანწმინდაში ამ ერთი კვირის განმავლობაში მისცვივნიან ადგილობრივ მცხოვრებს ილ. ქ—ძეს და წაუღ[illegible] იმის სახლიდან თუ რამე მოუხელებიათ, გაუქურდავთ ნ. ქ—ძე და აგრეთვე ონისიმე ენუქიძე.

◆ დაბა საჩხერიდან გვატყობინებენ, რომ ახლომახლო სოფლებში იქ უკანასკნელ დღეებში გავრცელებულა ყვავილით ავადმყოფობა. ყვავილი მძვინვარებს თურმე აგრეთვე საჩხერელ ებრაელთა შორის; რადგან უკანასკნელთა უმრავლესობა მთელის კვირაობით სოფლებში ფართლის სავაჭროდ დაიარება, შესაძლებელია სენი სოფლებში გავრცელდეს და ამიტომ საჭიროა სერიოზული ღონისძიებანი მიიღონ საჩხერეში სენის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად.

◆ დიდუბის სამკურნალოს გამგემ ექიმმა ხარაზოვმა თანამდებობას თავი გაანება.

◆ 4 და 5 აპრილს, როგორც გვწერეთ, ტფილისსა და იმის გარშემო დიდი თოვლი მოვიდა. თოვლმა ძალიან დააზარალა მებაღეები. უფრო დაზარალდნენ დიდუბის მებაღეები დიმიტრი ძაგანია, სიკო ჩიტასავა და სხვანი.

◆ სადგური საჰაინი (ყარსის შტო). 27 აპრილს მოდიდებულს წყალს რაღაცით გატენილი ტომარა მოჰქონდა. ამ ტომარის დაჭერა მოინდომა სოფელ უზუმლარის მცხოვრებმა დარფი ხეჩოევმა, ჩასტოპა წყალში, მაგრამ ტომარა ვერ დაიჭირა და თითონ კი მდინარის მსხვერპლი შეიქნა.

◆ სადგური ნავთლუხი. 28 აპრილს, ნავთლუხის საქონლის საწყობთან მდგომი ვაგონი მუშებთან ერთად გაუხსნია რკინის გზის მოხელეს—მწონელს. როგორც აღმოჩენილა, ამ ვაგონიდან სამი ცალი აბრეშუმეული დაკარგული ყოფილა. ეს ვაგონი ერევნიდან თურმე მოდიოდა, მაგრამ სადახლოშიაც მდგარა, რადგან იქაც დასატოვებელი ყოფილა საქონელი. როგორცა სჩანს, ცალები სადახლოში უნდა იყო მოპარული.

◆ 30 აპრილს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების შენობას დილის 4 საათზედ გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლისაგან, რომელიც მალე ჩააქრეს, ზარალი სულ 250 მანეთს უდრის. სახლი დაზღვეულ 300,000 მანეთში.

◆ პირველ მაისს ავლაბარში, ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგთან, უნახავთ ყელ-გამო[illegible] კაცის გვამი მოკლული. აღმოჩნდა ყაზახის მაზ[illegible] მცხოვრები ნამათ-უსუფ-ოღლი. მიზეზი მკვლელობ[illegible] ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

— სოფ. ხორხელში (თელავის მაზრა) ადგილობრივმა მცხოვრებმა ლევან ხოზბერაუშვილმა [illegible] მოჰკლა ამავე სოფლის მცხოვრებთ გლეხი ნიკო მოსიაშვილი. გამოძიება სწარმოებს.

— სოფ. ქისტაურში (თელავის მაზრა) 2 აპრილს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰკლა ადგილობრივ

ცხოვრება [illegible] ტატულაშვილი. გამოძიება სწარმოებს.

◆ სოფ. მაშარაში (ფშავ-ხევსურეთი) მცხოვრების გონჯურ ჩაკუნაშვილის 10 წლის ბალღ ისაკას, როდესაც მისი მშობლები შინ არ ყოფილან, ჩამოუღია თოფი და უწვალებია. ამ დროს თოფი გავარდნია, მოხვედრია თავის 7 წლის ძმას მათეს და იქვე მომკვდარა საბრალო.

◆ მდინარე ალაზანში უპოვიათ ურემი და ორი დამხრჩვალი კაცის გვამი. ამ საქმის გამოძიებას პოლიცია შესდგომია.

◆ მაწანწალა ძაღლების მჭერელი მოიჯარადრე 16 მაისამდე ძაღლების ჭერას ქუჩებზე შეუდგება ამ რიგად: პოლიციის 1 ნაწილში—3, 4 და 5 მაისს, მეორე ნაწილში—7 და 8, მე-3 ნაწილში—10 და 1, მე 4—12 და 13, ხოლო მე-5 ნაწილში 14 და 15 მაის.

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფ.“ № 2483-ში ქალაქის საბჭოს ანგარიშში შეცდომით იყო მოხსენებული: **„საბჭომ გადასწყვიტა 25,000 მანეთი** გადასდოს აგზალში წყლის მიღის საჭიროებისათვის თავ. გურამიშვილის ადგილის შესაძენადაო“. უნდა იყოს: „2,900 **მანეთი**“.

ტფილისის საკრედიტო საზოგადოების კრება

2 მაისს მოხდა ტფილისის საკრედიტო საზოგადოების კრება. როგორც წარსულის წლის ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას გაუსესხებია 4,317,800 მან., უმეტესი ნაწილი სესხისა გაცემულია 25 წლით. წმინდა მოგება, როგორც აღნიშნული გვქონდა, საზოგადოებას დარჩენია 99,246 მან. 77 კაპ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და შეუდგა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ხარჯთ-აღრიცხვით გამგეობის თავმჯდომარის ჯამაგირად გადადებულია 8000 მან., ორის დირექტორისა 7000 მან., ხაზინადრისა 3000 მან. უფროს ბუხჰალტერის 3000 მან., კანცელარიის მოხელეთ 4500 მან., დანარჩენ მოხელეთათვის 59,440 მან., სხვა ხარჯები 16,880 მან. სულ 76,270 მან. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა დირექტორების ჯამაგირების მომატების შესახებ. კენჭის ყრით კრებამ თითო დირექტორს 600 მან. მოუმატა, ასე რომ თითოს ექნება 4100 მან.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება ზედამხედველ კომიტეტისა თავისს მოქმედების შესახებ. სხვათა შორის, კომიტეტმა ურჩია კრებას გადაედო 5000 მან. ომის საჭიროებათათვის და 7500 მან. საზოგადოების მოხელეთა დასაჯილდოვებლად. კრებამ მიიღო ეს წინადადებანი. ყველაზე მეტი კამათი ზედამხედველ კომიტეტის მოხსენების იმ ადგილმა გამოიწვია, სადაც სურვილი იყო გამოთქმული, რომ ყურადღება მიექცეს სესხის მოკლე ვადით გაცემას. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, დაევალოს გამგეობას სესხის გაცემის დროს იხელმძღვანელოს წესდებით. შემდეგ კრებამ განიხილა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ სხდომის საერთო მოხსენება. შეერთებულმა სხდომამ გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისამ კრებას აცნობა: საკრედიტო საზოგადოების საქმეები ისეთ კარგს მდგომარეობაშია, რომ ადვილად შეგვიძლიან შევამციროთ ჯარიმა ვადაზე გადასახადის დროზე შემოუტანლობისათვის 12⁰/₀-დან 9⁰/₀-მდეო. კრებამ მიიღო ეს მოხსენება შეუცვლელად. დასასრულ კრება შეუდგა საზოგადოების მოხელეთა არჩევნებს თავმჯდომარედ აარჩიეს ის ვ პ ს. ლამბაროვი (51 თეთრი და 13 შავი); ზედამხედველ კომიტეტის წევრებად ლ. თ. ტიგრანოვი და ექიმი ავთანდილოვი; ხაზინადრათ დ. მ პულინოვი; გამგეობის წევრის კანდიდატად ა. მამიკონოვი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ი ა ტერ-აკოფოვი, ს. მ. ენიკოლოფოვი და ი. მ. ტერ-მიქელოვი. კრება ნაშუადღევის 4 საათზე დასრულდა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ოფიციალურ „ფინლიანდსკ. გაზ.“-ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „რას აკეთებენ ფინლიანდიელები ამერიკაში?“ ამ წერილისათვის მასალად „ფინლ. გაზ.“-მა შვეციის გაზეთებში დაბეჭდილი ცნობებით ისარგებლა.

ფინლანდიიდან ამერიკაში გადასახლებულნი ემიგრანტები,—ამბობს გაზეთი, სამხედრო რაზმს ადგენენ იაპონელებისათვის დასახმარებლად. ერთ გაზეთში მოხსენებულია, რომ ჩრდილო-ამერიკაში, დულუტში და მინესოტაში, ფინლიანდიელებმა ამ განზრახვით საიდუმლო საზოგადოება დააარსესო. ამბობენ, იაპონიის მთავრობისაგან გამოგზავნილმა კაცმა დაიარა ფინლიანდიელთა კოლონიები მესაში და ვერმილიონში; საქმე იდუმალად სწარმოებსო. ჯერ-ჯერობით ოთხას კაცამდე შეუგროვებიათ ფინლიანდიელთა მომავალ რაზმისათვის. ფინურ ენაზე დაწერილ მოწოდებას ავრცელებენ ხალხში და ამბობენ, ახლა სწორედ მარჯვე დროა, რომ რუსეთზე შური ვიძიოთ თავისუფლების მოყვარულ ფინლიანდიის ხალხის დევნისა და შევიწროებისათვისო.

გაზეთების ცნობებით, ბრუკლინში, ნიუიორკის ახლოს, ფინლიანდიელებს დაუარსებიათ საზოგადოება დაჭრილ და შეუძლო იაპონელ ჯარის-კაცთათვის დასახმარებლად და უკვე ბლომად შეუგროვებიათ ფული ამ საქმისათვის. საზოგადოების გამგეთა შორის რამდენიმე კაცია, რომელნიც ფინლანდიიდან განაძევა მთავრობამ, რადგან ისინი წესიერებისა და მშვიდობიანობის დამრღვევ პირებად იცნო.

ფინლანდიის ქ. კასკეს მოურავად ნამყოფმა გუსტავ ამინოვმა თავის ვრცელ სიტყვაში სთქვა: რადგან ჩვენ, ებრაელთა მზგავსათ, ყველაზე მეტად გვავიწროვებს რუსეთის მთავრობა, მოვალენი ვართ, იაპონელებს ბრძოლაში დახმარება გაუწიოთო. იმ კრებაზე დამსწრეთ, სადაც ამინოვმა სიტყვა წარმოსთქვა, დეპეშა გაუგზავნეს იაპონიის ელჩს ვაშინგტონში და აცნობეს, რა საგანზე ჰქონდათ ბჭობა. კრებამ დაადგინა, მეორე დიდი კრება გამართოს ბრუკლინში იაპონიისათვის განსაკუთრებულ თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

ერთ ამერიკულ გაზეთში მოყვანილია, რომ ფინლიანდიიდან განძევებულმა ბანკირმა კარლ მანნერჰეიმმა ცხარე წერილი დასტამბა ამერიკულ გაზ. „ივნინგ პოსტში“ რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. წერილში განმარტებულია ბოლო დროს ფინლიანდიაში მომხდარი ამბები. ავტორის აზრით, რუსეთის პოლიტიკის უმთავრესი მიზანია—რუს „ჩინოვნიკებს“ ჩაუგდოს ხელში საუკეთესო თანამდებობანი ფინლიანდიაში და შემდეგ ეს ქვეყანა ასპარეზად გაიხადოს შვეციის წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის. მანნერჰეიმის აზრით, შორეულ-აღმოსავლეთში ომს შედეგად მოჰყვება მძიმე შინაგანი არეულობა რუსეთში. იგი აფრთხილებს ამერიკელებს, რუსულ წყაროებიდან მოსულ ამბებს ნუ დაუჯერებთო, განსაკუთრებით არ უნდა დაიჯეროთ ის ამბავი, რომ რუსეთის ხალხი თანაუგრძნობს ამ ომსაო.

ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ მანნერჰეიმი წარსდგა შეერთებულ შტატების პრეზიდენტის რუზველტის წინაშე.

ოფიციალური „ფინლიანდიის გაზეთი“ მოყვანილ ცნობების ბოლოში ამბობს: ყველა ეს დასაჯერებელი ამბებიაო.

◆ 23 აპრილს პეტერბურგში მოხდა სალიტერატურო ფონდის წევრთა საზოგადო კრება. წაკითხულ იქნა ანგარიში, რომლიდან სჩანს, რომ ფონდის გამგეობას მიმდინარე წლის იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში ათი-ათას ხუთასი მანეთი გაუცია ღარიბ მწერალთა და მათ ოჯახის წევრთათვის დასახმარებლად. ამავე დროს განმავლობაში ფონდს შემოსვლია 35 ათასი მანეთი. ფონდის თანხა—662 ათასი მანეთი ყოფილა.

◆ გაზ. „ვარშავ. დნ.“-ის სიტყვით, რუსეთ-იაპონიის ომის მიზეზით გამოწვეული ვაჭრობის შემცირება ყველაზე უფრო იმ ებრაელებს დაეტყოთ, რომელთაც მხოლოდ კრედიტი ჰქონდათ და არ ჰქონიათ საწარმოო თანხა. ბევრი ებრაელი მუშა დარჩა ულუკმაპუროდ. ადგილობრივმა ებრაელებმა შეადგინეს საზოგადოება მუშებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. უკვე 500 წევრი ჩაწერილა და იმდენი ფული შეუგროვებიათ, რომ შეუძლიათ 7 ათასს კაცს აღმოუჩინონ შემწეობა.

◆ ჩერნიგოვის „საერობო კრებულში“ დაბეჭდილია ჩერნიგოვის გუბერნატორის განკარგულება სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოების შესახებ და მისგან აკრძალულ წიგნების სია. აკრძალულია, სხვათა შორის, შემდეგი წიგნები: „ამბები ქ. კიევის ისტორიიდან“, „სპერანსკის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ცხოვრება და სიყვარული“, „გოგოლის ბიოგრაფია“, „რომის იმპერატორის მარკ ავრელის ფიქრები“, „ცა და დედამიწა“ და სხვ.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების საყურადღებოდ.

20 მაისს უნდა მოხდეს საზოგადო კრება ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წევრებისა. საზოგადო კრებას ბევრი საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორს აღვნიშნავთ. ერთი არის—„საპენსიო წესდება სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის“, მეორეც—„მოხსენება ახალი შტატების შესახებ სათავად-აზნაურო სკოლის პირთათვის“.

კარგა ხანია დრო იყო ყურადღება მიექცია სკოლის კომიტეტსა და საზოგადოებას სკოლაში მოსამსახურე პირთა ქონებრივ უზრუნველყოფისათვის.. თუ არ ვცდებით, პირველად 1898-ში წარუდგინა კომიტეტმა საზოგადო კრებას პროექტი საპენსიო კასის წესდებისა. ეს პროექტი საზოგადოებამ დაიწუნა და დაავალა კომიტეტს შეესწორებინა იგი და ხელახლად წარედგინა საზოგადო კრებისათვის. წელს კომიტეტს შეუსრულებია ეს დავალება, როგორც განსახილველ საგნების სიიდან სჩანს. მაგრამ ადვილად შეიძლება, რომ წელსაც ვერ მოვესწროთ ამ საკითხის გადაწყვეტას და ბრალი ამისი კომიტეტს დაედება.

მართლაც, როგორია ეს ახალი საპენსიო წესდება და რითი განსხვავდება ძველ, დაწუნებულისაგან?

კომიტეტს არ გამოუქვეყნებია თვისი პროექტი და საზოგადოება მას ვერ გაეცნობა კრების დღემდე. კრებაზე კი შეუძლებელია ყოველ მხრივ აიწონ-დაიწონოს წესდების ღირსება და ნაკლი საზოგადოება ან გადასდებს საკითხის გადაწყვეტას შემდეგ მორიგ კრებისათვის, ან და განუხილველად მიიღებს კომიტეტის პროექტს. ერთიცა და მეორეც საქმისათვის მავნებელია. ამიტომ კომიტეტი, იმედია, ეხლავე გამოაქვეყნებს მისგან შემუშავებულ პროექტს საპენსიო წესდებისას და ამით ღონისძიებას მისცემ საზოგადოებას საფუძვლიანად გაეცნოს მას. მხოლოდ ასეთ გაცნობის შემდეგ არის შესაძლებელი კითხვის სერიოზულად გადაწყვეტა.

მანამდე კი გვსურს გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას საპენსიო წესდების ერთი პროექტი, რომელიც სავსებით დამყარებულია საპენსიო კასის ახლანდელ მდგომარეობაზე.

ახალ წესდების მიღებამდე და დამტკიცებამდე მასწავლებლების თანხმობით და სურვილით მოქმედებდა და მოქმედებს კომიტეტის მიერ შემუშავებული წესი. ნამდვილ ცნობებიდან ვიცით, რომ 1904 წლის პირველ სექტემბრისათვის კასაში იქნება 52,000 მანეთი. კომიტეტი აქამდე იძლეოდა საპენსიო კასისათვის სხვა-და-სხვა შემოსავლის (გარდა ბანკიდან გადადებულ ფულისა) ათის თავს. თუ საზოგადო კრება და კომიტეტი თანახმანი იქნებიან გადასდონ ათი პროცენტის მაგიერ ოცი, რაც წლიურად ორივა შუა რიცხვით სულ 3000 მანეთს შეადგენს, მაშინ სკოლის ყველა მოსამსახურენი უზრუნველ ყოფილი იქნებიან ისე, როგორც მათ თვითონ სურთ. ეს სურვილი კი ის არის, რომ სამსახურის გათავების შემდეგ მასწავლებელმა ერთბაშად მიიღოს თავისი პენსია. გიმნაზიის კლასების მასწავლებელმა—8000 მ., მოსამზადებელ კლასების მასწავლებელმა—6000, მოსწავლეთა მეთვალ-ყურემ—4000, საქმის მწარმოებელმა—3000, სკოლის გამგემ—12000, მასმა თანაშემწემ—9000. ასეთი წესი, სასურველი მასწავლებლებისათვის, ხელსაყრელია კომიტეტისთვისაც.

ვიანგარიშოთ.

როგორც ვთქვით, 1904 წლის პირველ სექტემბერს საპენსიო კასაში იქნება 52000 მ. ამ წელს კასას ექნება გასავალი:

სამსახურ გათავებულ ორ მასწავლებელს 12000, ერთ მასწავლებელს 5340 (ვადის გათავებამდე გავიდა სამსახურიდან), მასწავლებლის ერთ ქვრივს—2000, სულ—19,340 მანეთი. მაშასადამე კასაში დარჩება—32,660 მანეთი. 1904 აკადემიურ წელიწადში შემოვა კასაში: კომიტეტისაგან—3000 მ., ხუთი პროცენტი მასწავლებლების ჯამაგირისა—3000, კაპიტალის სარგებელი 1633 მ. სულ 7633 მ. ამ წელს მარტო ერთ მასწავლებელს უთავდება სამსახურის ვადა: მან უნდა მიიღოს 8000. 1905 წლის სექტემბრისათვის კასაში დარჩება 32,293 მ. ამ წლის განმავლობაში კასას შემოუვა 3000 მ. კომიტეტისაგან, 3000 მასწავლებლების ჯამაგირიდან და 1614,65 პროცენტი კაპიტალისა; გასავალი კი ამ წელს არ არის მოსალოდნელი. მაშასადამე კასაში იქნება 1906 წლის სექტემბრისათვის 39,907 მ. და 65 კ. ამ წლის განმავლობაში მიემატება კასას 7995 მ. და 35 კ. (იმავ წყაროებიდან; კაპიტალის პროცენტი (5⁰/₀); ეხლა 1995,35 იქნება); სულ კასაში—47,903 მ. გასავალი 12,000 მ., სამსახურის ვადა უთავდება სკოლის გამგეს.

1907 წლის სექტემბრისათვის კასაში დარჩება—35,903 მ. წლის განმავლობაში შემოვა—7,795 მ. და 15 კ. სულ კასაში იქნება—43,698 მ. და 15 კ. ამ წელს არც ერთ მასწავლებელს არ უთავდება ვადა. არც 1908 წლის განმავლობაში ექნება გასავალი კასას; შემოსავალი კი—8,184 მ. 90 კ. იქნება. ამ გვარად 1909 წლისათვის კასაში 51,883 მ. და 5 კ. მოიყრის თავს. ამ წელს კიდევ შემოვა 8,594 მ. და 15 კ. გასავალი მხოლოდ 4,000 იქნება. 1910 წლისათვის კასაში დარჩება 56,477 მ. 20 კ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თუ ასეთი წესი იქნება შემოღებული, 1924 წლისათვის ყველა ეხლანდელი მასწავლებლები მიიღებენ ხვედრ ფულს და საპენსიო კასას კიდევ დარჩება 50,857 მ. და 10 კ. გეგმა მარტივი და ადვილი ასასრულებელია. კომიტეტისაგან ითხოვს მხოლოდ სულ პატარა მსხვერპლს: წვრილ-წვრილ შემოსავლის 20 პროცენტს, ათის მაგიერ, ე. ი. სულ დიდი 1,500 მ. წელიწადში. და ასეთ მცირე მსხვერპლს კომიტეტი და საზოგადოება, იმედია, არ დაიშურებს იმ მასწავლებლების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც მთელი თავისი ახალგაზრდობა და ძალ-ღონე სკოლისათვის შეუწირავთ.

შესაძლებელია, კომიტეტის მიერ შედგენილი წესდება საპენსიო კასისა კიდევ უფრო უკეთ აკმაყოფილებდეს მასწავლებლებს, შეიძლება ამ პროექტით, კომიტეტი მეტ მსხვერპლსაც ეწეოდეს სკოლის მოსამსახურეთათვის. ამიტომ, ვიმეორებთ, საჭიროა, ეხლავე გამოქვეყნდეს კომიტეტის პროექტი, რომ ღირსეულად აიწონ-დაიწონოს და დაფასდეს.

W.

წერილები

ახალ-სენაკი. ამ ბოლოს დროს აქეთ ძალიან გახშირდა მკვლელობა. წარსულ თვეს სოფ. ძველსენაკში იარმუკობის დროს მოჰკლეს ერთი კაცი, რომელსაც ხარის სასყიდლად ჰქონებია 30—40 მანეთი. ბოროტ-მოქმედებმა ეს ფული ამოაცალეს და მიიმალნენ. 8 ამ თვეს სოფ. ისულაში (სენაკის მაზრა) ერთი გულ-საკლავი ამბავი მოხდა. ამავე სოფლის მცხოვრები კოჩა ტორჩინავა და იმისი ცოლი მოკლული ჰნახეს. კოჩას ცოლი საღამო ჟამზედ ცოტა ადრე დაწოლილა, რადგან უქეიფოთ ყოფილა. კოჩა დაწოლის წინად სამზარეულოს დასათვალიერებლად შესულა, სადაც რამდენიმე ხანი დაჰგვიანებია. როდესაც სამზარეულოდან გარედ გამოსულა, მკვლელი ჩუმად მიჰპარვია, რაც ძალი და ღონე ჰქონია, დიდი ჯოხი თავში დაურტყამს და იქვე გაუგორებია. იმდენი ურტყამს, ვიდრე მთლად არ დაუჩეჩქვია მთელი სახე. შემდეგ ბოროტ-მოქმედი შესულა იმ ოთახში, სადაც კოჩას ცოლს სძინებია. ამისთვისაც ისე გაუტეხია თავი, როგორც ქმრისთვის. ბოლოს ბოროტ-მოქმედს გაუტეხია კოლოფი, რომელშიაც ყოფილა ფული და თამასუქები და წაუღია. ამ სოფელში კოჩა შეძლებულ კაცად ითვლებოდა. ეს ამბავი მეზობლებმა მეორე დღეს გაიგეს. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ეჭვი ერთ კაცზე მიიტანა, რომელიც დაპატიმრებულია. აქეთ ამ ჟამად საოცარი გვალვებია. ამის გამო მუშა-კაცს ჯერ მუშაობაზე ხელი არ მოუკიდნია. ამ გარემოებამ ერთობ შეაწუხა მხვნელ-მთესველი. ამ თვეში აღმოსავლეთის საოცარი ქარი ჰქრის. ბოსტნეულობა მთლად ახრუკა გვალვებმა.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

ს. სუჯუნა (სამეგრელო). გიორგობას, 23 აპრილს, აქ დღეობა-ჯარიანობა იციან. წელსაც კვლავინდებურად მრავალი ხალხი მოსულიყო, ზოგი სალოცავად და ზოგი-კი სათვალისეიროდ. დღეობა-ჯარიანობამ მშვიდობიანად ჩაიარა. სოფ. სუჯუნაში თითქმის 200-მდე მოსახლე ებრაელი იქმნება. სავაჭრო დუქანი 100-მდეა. ამ დაბაში ორი ხის ხიდია, რომელზედაც ეტლებს და ურმებს გასვლა უჭირს, რადგან დამპალ-გაფუჭებულია. ამ ორის ხის ხიდის გაკეთება დაბას დაუჯდება დიდი-დიდი 25 მანეთად.

ტელეფონი.

კავკავი. თვრამეტ აპრილს ბაქოდან მოსული ერთი ინჟენერი ამხანაგებთან ერთად წავიდა ტარსკის სტანიცაში დროების გასატარებლათ. საღამომდის იქ დაჰყვეს; საღამოთი ამხანაგებმა გადასწყვიტეს ღამე იქ დარჩენა, რადგან უდროოდ უკან დაბრუნება საშიში იყო ქისტებისგნით. ბაქოელმა ინჟენერმა აიჟინა: „არას გზით არ იქნება, თუ ამაღამ უკან არ დავბრუნდიო“, თუმცა ამხანაგებმა ბევრი ურჩიეს და უშალეს, ნუ წახვალო, მაგრამ მაინც არ დაიშალა, შეჯდა დ ცხენზე და გაუდგა გზას შებინდებისას. გამოსცდა თუ არა სტანიცას, დაჰხვდნენ ავაზაკები, ესროლეს თოფი და მოჰკლეს. მკვლელებს მიცვალებულისთვის სულ აეცალათ, რაც რამე ჰქონოდა. თექვსმეტს აპრილს კავკავის კორპუსის ახალ შენობის მოიჯარადრე ებრაელი ავიდა შენობის მეორე სართულში და ათვალიერებდა შენობას. ამ დროს ჩამოვარდა და იქვე გამოესალმა წუთისოფელს. ოცს აპრილს ორი ყაზახი-რუსი შექეიფია-

ნებულიყო. სადგურის წინ ეს ყაზახები წაეჩხუბნენ პოლიციელს. პოლიციელმა მოინდომა მათი პოლიციაში წაყვანა. შექეიფიანებულმა ყაზახებმა პოლიციელის წინადადება ძლიერ იწყინეს, იძვრეს ხანჯლები და დაუშინეს. დაასხიპეს თითები. დაუჭრეს მკლავები და სხვა. მისდა იღბლად, სადგურიდან ჟანდარმი გამოეშველა და პოლიციელი სიკვდილს გადაარჩინა. დაჭრილი პოლიციელი საავადმყოფოში წაიყვანეს, ყაზახები კი დააპატიმრეს. კავკავში ამ ჟამად ყველაფრის სიძვირეა. გირვანქა ძროხის ხორცი 10 კ., ისიც არა ვარგა მოსახარშად, ცხვრის ხორცი 20 კ. და ბატკნისა 15 კ. ქათამს და სხვა სანოვაგეს ხომ ნუღარ იტყვის კაცი. თივა ფუთი 45—50 კ., სიმინდი 45 კ. ფუთი. ყიზლარ-გროზნის მხარეებიდან ცხვარმა იწყო დენა. კავკავის გარშემო მინდვრები სულ სავსეა ცხვრის ფარებით. მთებისკენ ჯერ, წლევანდელ გრილი გაზაფხულის გამო, ბალახი არარის, ამიტომ მეცხვარეები კავკავის გარშემო ატრიალებენ ცხვარს. მაგრამ საქმე ის არის, ქალაქი მეცხვარეებს თითო სულ ცხვარზე დღეში თითო კაპეიკს ახდევინებს და მეცხვარეებს ძვირად უჯდებათ კავკავის მინდორში რამდენიმე დღე დატრიალება, არც სამყოფი ბალახია. **ქართველი ოსებში**

—

ბეკამი (ქართლი). დადგა გაზაფხული და ამოვარდა კიდეც ქარიშხალი. მთელი კვირაობით ჰქროდა. ერთი დღე ვერ ეპოვა გლეხს, რომ გასულიყო და დილიდან საღამომდის ემუშავა. დილით სამუშაოდ რომ გავიდოდა, ორი საათის შემდეგ უკან ბრუნდებოდა, რადგან ან წვიმა წამოვიდოდა და ან ქარიშხალი ამოვარდებოდა. 18 აპრილს ქარი ჩავარდა და ცოტათი მოთბა. ხეხილმა მშვენივრად გამოიწია. მცხოვრებნი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. გათენდა 23 აპრილი. ისეთი მშვენიერი დღე იყო, რომ გლეხებმა საქეიფოდ გასწიეს გიორგობას. 2 საათზე ასტყდა ქუხილი და ნახევარ საათს გაგძელდა, მერე დაუშვა წვიმა და მოჰყვა სეტყვა. სეტყვა რა სეტყვა: ერთ წამს დედა მიწა სულ დაიფარა. გლეხები ხელ-ახლა დაღონდნენ. **მაშო**

—

სოფ. ზემოხოდაშენი (კახეთი). ამ სოფლის თავში, მთაში ვეძებია. დიდი ხანია ამ ადგილას ნავთი აღმოჩნდა. ერთმა უცხოელმა ამხანაგობამ ეს რამდენიმე წელიწადია ბურაოები დადგა და დღესაც მუშაობს. იმის ახლო ერთმა გერმანელმა დიდი მამული შეიძინა, ააშენა შენობა და საცხოვრებლად მოაწყო. თვით პატრონი იქ არ არის და ყარაულები ჰყავს დაყენებული. აქ 19 აპრილს იმისმა მოსამსახურეებმა მოჰკლეს ორის ტყვიით ფშაველი ქურდი ჭრელა, რომელიც, როგორც ამბობენ, ერთჯელ ტფილისის მეტეხის ციხიდან გაქცეულა და მეორედ კიდევ დარაჯებს გაჰპარვია. მოკლული ჭრელა მკვლელის სიმამრისშვილია, ღამე ამ გერმანელის მამულში მივიდა საქურდავათ, ერთი ცხენიც გამოეყვანა და მიჰყავდა თურმე კიდეც, მაგრამ მოსამსახურეს (სიძეს) გაეგო, გამოსდევნებოდა და თოფით გამასპინძლებოდა სიმამრიშვილს. ორჯელ ესროლა და ორივე მოჰხვედროდა, ცხენი გაეშო, ცოტა კიდევ გაქცეულა, მაგრამ მალე წაქცეულა და მომკვდარა. **დ.**

—

თელავი. თელავში ამ ჟამად ხორაგისა და სხვა სანოვაგის უშოვნელობაა. სოფლებიდან ძლიერ ნაკლებ შემოდის და თვით ქალაქში არაფერი იშოვება. აქაური ყასბები ისეთ საკლავს ჰხოცვენ, რომ არ იქმევა. თუ როგორმე ხეირიანი დაჰკლეს, ტაქციას აუწევენ. მაგრამ მაშინაც ისეთი ზედა ხოცვა აქვთ, რომ უცხოს ბუნტი ეგონება. ამას წინად ისეთი ხორცის უშოვნელობა იყო, რომ რამდენმამე კაცმა ტფილისიდან დაიბარა. ყველა სანოვაგე შესამჩნევად გაძვირდა. მეპურეები ხომ როგორც უნდათ, ისე იქცევიან. თეთრი პურის ხსენება აღარ არის. ფურნეში გამომცხვარ პურსაც ფასი წაუმატეს. მოგეხსენებათ, თელავში თვითმმართველობამ სახაბაზო გახსნა, რომელსაც უკეთესი პური მიეწოდებინა მცხოვრებთათვის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ სახაბაზოში უკეთესი არა ცხვება. მგონი, ესენიც ფქვილის უშოვნელობას და ქირის სიძვირეს აწერენ. ეს გასამართლებელი საბუთი არ არის და არც ეკადრება აქაურ ფქვილის მოვაჭრეების სინაბარას იყოს. სახაბაზო რისთვის გახსნეს? თუ ფულის მოსაგებად, შეუძლიანთ უფრო მდარე პური გამოაცხონ და მეტი მოიგონ და თუ იმისთვის, რომ კარგი თვისების პური მიაწოდონ მცხოვრებთ, მაშინ მოგების მაგიერ ზარალსაც არ უნდა მოერიდონ, რომ მიზანს მიაღწიონ. ესკია ქალაქის მამებს არა სცალიანთ, იმათი ყურადღება ხიდზეა მიქცეული, რომელიც ნებით არ გამოცვალეს და თვით წყალმა ძალად აალებინა. ეს ხიდი თელავის რიყეზეა, რომელიც შუაზე ჰყოფს ქალაქს. ხიდი ისე დაძველდა, რომ ხევი ქვიშასა ჰნაშამს, ზემოდან გადადის და აფუჭებს. რათა წყლისათვის გზა მიეცათ, ხიდი აშალეს და, მგონი, აღარც გაკეთდება, რადგან თვით-მმართველობას მიწერ-მოწერა აქვს ვისთანაც ჯერ არს იმის შესახებ, რომ ეს და ორი სხვა ხიდიც გზათა სამინისტროს გამგეობას ეკუთვნის და თელავი მოვალე არ არის გააკეთოს. ასე თუ ისე ერთად-ერთი ხიდი იყო, დარში მაინც თავისუფლად შეიძლებოდა მიმოსვლა, მაგრამ ესეც მოშალეს და ასე დარჩა. **დ—შვილი.**

—

ს. დიდ-გომარეთი (თრიალეთის მთები). ჩვენ სოფელში დაარსებულ მომხმარებელ ამხანაგობის ოპერაციები წარსულ 1903 წ. გამოიხატება შემდეგის ციფრებით: გაყიდულა წლის განმავლობაში საქონელი 7400 მან., წმინდა მოგება დარჩენილა 640 მან. საოპერაციო ხარჯი ამხანაგობისა იყო 845 მ. წმინდა მოგება უკანასკნელ წლიურ ანგარიშზე კრებამ მთლად გადასდო სავაჭრო სერმიის გასადიდებლად. 1 იანვარს 1904 წ. ამხანაგობის საწევრო თანხამ შეადგინა 1140 მან. და ღირებულობა ინვენტარისა დაფასებულია 250 მან. ამხანაგობამ წარსულ წლის განმავლობაში გაჰყიდა ქ. ტფილისში, საკუთარ საწყობში 50,000 კვერცხი და გარედ 70,000 კვ. გაყიდული თაფლი, ერბო, ყველი და ცოცხალი ინვენტარი შეადგენს 800 მან. გამგეობის თაოსნობით, დიდ-გომარეთს იაილაზე შენდები ყველის ქარხანა 500 მწველელ ძროხისათვის. კარაქის კეთება დაიწყება ქარხანაში მაისის 5-დან. ამხანაგობა აფართოვებს თავის საკუთარ საწყოპს, ამასთან აარსებს ბიუროს, რომელიც შეაკავშირებს ქართველ მცირე ქონების მომხმარებელ ამხანაგობა და მით გააჩენს დიდ-შეერთებულ ძალას ანუ ეკონომიურ ტენტს, მგზავსად გერმანულ Werband (კავშირებისა) ერთს ბიუროსთან დაარსდება თვიური ფურცელი, გზის მაჩვენებელი ქართულ კოოპერაციისა.

ამხ. გამგე **ს. სალარიძე.**

ღამის დეპეშები

3 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე 2 მაისს ცარსკოიე სელოდან წაბრძანდნენ იმ ადგილებში, სადაც შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნი ჯარი სდგას.

მუკდენი. ცნობა არის, რომ იაპონელთა დიდი ჯარი ჩრდილოეთ-დასავლეთის მიდამოებში იკრიბებაო. ფინხუანჩენიდან მომავალი ჯარი ლიაოიანისკენ გაუბედავად მოდის. საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ იაპონიის არმიის უმთავრესი ძალა ხაიჩენისაკენ მიდის.

კაიჯუ. 30 აპრილს ხუნხუზთა ბრბო, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა, თავს დაესხა იანტაის მაღნებს, მაგრამ ზარალით უკუქცეულ იქნა. ხუნხუზთა ბრბო ლიაოიანიდან დასავლეთითაც გამოჩნდა.

ჩიფუ. („რეიტ. საგ“.) ადმირალი სტერლინგი ამერიკის კრეისერ „ნიუ-ორლეან“-ით შანხაიდან აქ მოვიდა. ადმირალმა განაცხადა, არ ვიცი, რად გამომგზავნეს აქეთ და შემდეგ სად გამგზავნიანო. კრეისერის, ჩიფუში მოსვლა მით უფრო საყურადღებოა რომ ამერიკელთა გემები ბრძანებისამებრ შანხაის ზემოთ არ ამოდიოდნენ. შესაძლებელია, რომ შეერთებულმა შტატებმა მოითხოვონ ნიუჩუანში ნეიტრალიტეტის შემოღება მას შემდეგ, როცა რუსები ამ ქალაქიდან გავლენ. რადგან ამერიკის კრეისერი ძრიელ განიერია, ამიტომ მდინარე ლიაოხეში ვერ შედის.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. საგენტ.“). ღამე ქალაქიდან ორის კილომეტრის მანძილზე ყაჩაღები თავს დაესხნენ ჩინელებს.

შანჰაი („რეიტ. საგენტ.“). რუსები უკან იწევენ, კოუბაძისკენ, სადაც სანმინტინის რკინის გზის შტო იწყება, და თავს ანებებენ ნიუ-ძიატუნის სადგურს. იაპონელები განაგრძობენ მოტიენლის უღელ-ტეხილთან შემოვლას.—რუსები სერიოზულად ემზადებიან ხმელეთის მხრიდან პორტ-არტურის დასაცველად. აკეთებენ უზარმაზარ თხრილებს, რომლებზედაც მმართავენ ბამბუკის ლობეებს. ზარბაზნებს პირი ხმელეთისკენ უყვეს. ყოველ დღე შეტაკებებია რუსებისა და იაპონელების რაზმებს შორის. ზარალი უმნიშვნელოა. ინგლისის სამხედრო გემები გუშინ ჰონკონგიდან გამოვიდნენ და ტიანძინძიანისკენ გაემართნენ.

ტიანძინი („რეიტ. სააგენტო“). ეხლა რუსები თავს ანებებენ გაუზანძისა და სინმინტინს. 300 ჩინელი იცავს ამ ადგილებს. 500 რუსი რჩება დალიანპუში, გაუზანძის აღმოსავლეთით; 200 დალიანპუსა და ტიანჯუანის შუაა. 600 ცხენოსანი და 400 ქვეითა ჯარის-კაცი ჩრდილოეთით სდგას, მდინარე დალიანის ხეობაში.

ტოკიო („რეიტ. სააგენტო“). იაპონელები პორტ-არტურს უახლოვდებიან. იმათ დაიჭირეს მდინარე დაიანხე სიუიანის სამხრეთით. ალყის შემორტყმის დროს იაპონელები იხმარებენ უდიდეს ზარბაზნებს და ახალ ამაფეთქებელ ნივთიერებას.

2 მაისი

კოვნო. დღეს დაიხურა გოფმეისტერის ვატაცის მეუღლის მიერ გახსნილი კურსები მოწყალების დებისათვის. სწავლებამ 10 კვირა გასტანა, ცნობილ ექიმთა ხელმძღვანელობით. 50 ქალმა დაასრულა კურსი და დაიჭირა ეგზამენი. ყველა ესენი ადგილობრივ საზოგადოების უმაღლეს წრეს ეკუთვნიან.

სევასტოპოლი. ზღვაზე ნისლია, სევასტოპოლში ჭექა-ქუხილია. სავარჯიშოდ გავიდნენ ჯავშნიანი გემები „დვენადცატ აპოსტოლოვ“ და „პამიატ მერკურია“.

3 მაისი.

ჰელსინგფორსი. დღეს მიძინების ტაძარში წირვის შემდეგ გენერალ-გუბერნატორისა და ადგილობრივ მართლმადიდებელ მრევლის დასწრებით ფინლიანდიის არქიეპისკოპოსმა ნიკოლოზმა აკურთხა ჩერნიშევის სამონასტრო სადგომი, რომელსაც აშენებს საეკლესიო სტაროსტა ჩერნიშევი საკუთარის ხარჯით. ეკლესიისთვის ადგილი მოზომილია.

მოსკოვი. უპატრონო ბავშვთათვის მზრუნველი საზოგადოება აარსებს მოსწავლეთათვის სადგომებს, რომლებშიაც იცხოვრებენ სახელოსნოებში მომუშავე უპატრონო შეგირდება.

პანგცზე. („რეიტერის საგენტო“). ტიბეტელები ინგლისელების ბანაკს ეხლაც ზარბაზნებს ესვრიან. ბანაკის მიდამოებში მცხოვრებთ მღელვარება ეტყობათ. ლამები ყველგან დადიან და სარწმუნოებრივ ბრძოლას ქადაგებენ. ბანაკის უკან ადგილი სრულიად [illegible]. ინგლისელები ძრიელ ფრთხილად იქცევიან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

დ-რის შინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები“
წინააღმდეგ
სიმსუქნისა
და საუკეთესო საფაღარათო საშუალება.
ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ
წითელ კოლოფებში,
რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად, ფრანგულად და გერმანულად.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (ნ. 26—19)

ვორში
იძლევა ქირით ოთხი ოთახი საგარაკოთ, ბაღით, წყლით და ყოველის მოწყობილობით. შეიძლება გაქირავდეს წლითაც ხუთი ოთახი, სარდაფით და ქვევრებით. წმინდა მარინეს ეკლესიაში იკითხეთ დეკანოზ ტურიევთან. (5—181—4)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
безъ конкуренціи.
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—10)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.
(88—52—24)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შინახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მაწრაფლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОП
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—13)

Доз. ценз. Тифлисъ 4 Мая 1904 г. [illegible] (Электропеч. Груз. Издат.